ჩემი საქართველო



№81, მაისი, 2023

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდერობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწაფვიან!



სიყვარულით დანახული სამყარო

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის მიერ, სამი თვის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, მიმდინარეობდა მოსწავლეთა ლიტერატურული კონკურსი „სიყვარულით დანახული სამყარო“, რომელშიც მონაწილეობა შვიდასამდე მოსწავლემ მიიღო, კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად 78 ნამუშევრის ავტორი გამოვლინდა, რომელთა შემოქმედება შეტანილი იქნა პედაგოგთა კავშირის სერიულ ბეჭდვით გამოცემაში, წიგნის სახით, „სიყვარულით დანახული სამყარო“ – და სწორედ აღნიშნული სახელწოდების კონკურსის გამარჯვებულებს მასპინძლობდა მაისის დასაწყისში რუსთავის აკადემიური ქალაქი, სტუმართა რაოდენობამ მოლოდინს ბევრად გადააჭარბა, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, თავის გამოსვლაში, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობისადმი მოფერებაც იყო და სიამაყეც, თაყვანისცემაც და ღირსებაც... მადლობა გადაუხადა ღონისძიების ძირითად ორგანიზატორებს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, პროფესორ ლეილა გეგეშიძეს. ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივნებს: მაია კონიაშვილს, მაკა სამხარაძეს და სხვებს... აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ ქართული პედაგოგიური ელიტის უმაღლესი ჯილდოები, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ოქროს მედლები, პედაგოგიურ დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გადასცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს ნანი დალაქიშვილს და ქალაქ ჭიათურის მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორს გურამ ლომიძეს.

დარბაზი მოხიბლა ანსამბლ „ალავერდის“ (ხელმძღვანელი თეა ჯამრიშვილი) და ლელა ხუნაშვილის მიერ შესრულებულმა მუსიკალურმა ნომრებმა...

ცალკე აღნიშვნის ღირსია, აღნიშნული კონკურსის სათაურის ფრთებქვეშ, ნორჩი მხატვრების მიერ შესრულებულ ნამუშევართა გამოფენა. რუსთავის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელმა, საბავშვო პოეტმა: ლია ბეჟანიშვილმა, წიგნების ვაუჩერები გადასცა გამარჯვებულებს, ასევე წიგნების ვაუჩერი გამარჯვებულთათვის დააწესა მეცენატმა გურამ გოგალაძემ.

...და იყო ლექსი, პოეზია, რითმა და სიმღერა სამყაროს სიყვარულით დანახვისა...

ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია და მედალი...

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა, სიურპრიზად, უდიდესი საჩუქარი გაუკეთა რუსთავის აკადემიური ქალაქის დამფუძნებელს, ევროპის სამეცნიერო პედაგოგიური პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორს, საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორს, აკადემიკოს გარი ჩაფიძეს. მისთვის, როგორც ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიისა და მედლის გადაცემით.

– ეს ჯილდო, ჭეშმარიტად რჩეულთა ხვედრია, რომელიც დიდი, ძლიერი და უკვდავი ილიას სახელთან ასოცირდება, იყო მისი პრემიის ლაურეატი, ნიშნავს უსპეტაკესად იდგე ქართული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და შემოქმედების ეპიცენტრში, ატარებდე ილია ჭავჭავაძის ოქროს მედალს, ეს იგივეა, პირადი, ეროვნული ღირსებით შექმნა წარსულის, აწყმოსა და მომავლის სინთეზი... – აღნიშნა ჯილდოს გადაცემისას საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა და დასძინა, რომ აკადემიკოს გარი ჩაფიძესათვის, ამ უმნიშვნელოვანესი ჯილდოს გადაცემა, ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და უდიდესი შრომის შედეგია!

თავის მხრივ ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიისა და მედლის ჯილდოს ადრესატმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, გულწრფელი მადლობა გადაუხადა საქართველოს მწერალთა კავშირში შეკრებილ დამსწრე საზოგადოებას, მისი შრომის ესოდენ დაფასებისათვის...

დიპლომი

ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია და მედალი

გიჯილ

გარი ჩაფიძეს

ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის

„მივიწყებული სახელები“



– ასეთი სახელწოდების ლიტერატურული კონკურსი ჩაატარა მთელი ქვეყნის მასშტაბით პედაგოგებისათვის საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობით, რომელშიც ხუთასამდე მასწავლებელი მონაწილეობდა, კომპეტენტურმა ჟიურიმ, საუკეთესოთა შორის საუკეთესონი 41 ავტორი გამოავლინა და კონკურსის სახელწოდების აბრევიატურით გამოცემულ სპეციალურ წიგნში მათი შემოქმედება დასტამბა, აი ისინიც:

ანანიძე გუგული – სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზვარეს საჯარო სკოლა. ბახტაძე რამინი – ქ.ბათუმის №14 საჯარო სკოლა. ბურდიაშვილი ნინო – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლა. გაგოშიძე ნინო – ზესტაფონის №6 საჯარო სკოლა. გვრიტიშვილი ლელა – ახალციხის, სოფელ ხეოთის საჯარო სკოლა. გოგალაძე ნათელა – ლესია უკრაინკას სახ. ხაშურის, დაბა-სურამის №3 საჯარო სკოლა. გოგიტიძე გულნარი – აბაშის, სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლა. გოგიტიძე მადონა – ილია ჭავჭავაძის სახ. ქობულეთის №2 საჯარო სკოლა. გოგსაძე მანანა – ლაგოდეხის, სოფელ გიორგეთის საჯარო სკოლა. გულედანი ციალა – მიხეილ ხერგიანის სახ. დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლა. გულიკაშვილი ლია – ბორჯომის №1 საჯარო სკოლა. დემურიშვილი მაია – გორის, სოფელ ტირძნისის საჯარო სკოლა. ვადროსანიძე ეფემია – თბილისის №159 საჯარო სკოლა. ვაშაყმაძე ნარგიზი – წალკის, დაბა თრიალეთის საჯარო სკოლა. ზოზრაშვილი მაია – თბილისის №120 საჯარო სკოლა. კაპანაძე ანი – თბილისის შპს „მწვანე სკოლა“. კვირკველია ბელა – ხელვაჩაურის, სოფელ ჭარნალის საჯარო სკოლა. კვირკველია თალიკო – ლანჩხუთის №3 საჯარო სკოლა. კობიაშვილი მაია – თბილისის №14 საჯარო სკოლა. კონიაშვილი მაია – ხულოს, სოფელ სხალთის საჯარო სკოლა. მათიაშვილი მზია – გარდაბნის, სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლა. მამულაშვილი ლიანა – ბოლნისის, სოფელ ხატისოფლის საჯარო სკოლა. მარგველაშვილი მარეხი – ახალციხის, სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლა. მელიქიშვილი ქეთინო – თბილისის №28 საჯარო სკოლა. ნოზაძე ნატო – ლაგოდეხის, სოფელ გიორგეთის საჯარო სკოლა. ოჩიგავა სალომე – ფოთის, ფიზიკა-მათემატიკური სკოლა. ღამბაშიძე ნესტანი – თბილისის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახ. №178 საჯარო სკოლა. ყიფიანი მარინე – ამბროლაურის №2 საჯარო სკოლა. შარაძე ნანა – ქედის, სოფელ ზვარეს საჯარო სკოლა.

შარია ელისო – ბაღდათის, სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლა. შარიქაძე ქეთევანი – ზესტაფონის, სოფელ კვალიათის საჯარო სკოლა. შევარდნაძე მზია – ოზურგეთის №3 საჯარო სკოლა. შეყილაძე ელნაზი – გურჯაანის №3 საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგი, ბიბლიოთეკარი. შიშმანაშვილი დალი – თელავის, სოფელ იყალთოს საჯარო სკოლა. ჭიჭინაძე-გოგსაძე კატუშა (ეკატერინე) – ამბროლაურის, სოფელ ველევის საჯარო სკოლა. ჭიხვარია ციალა – ჩოხატაურის, სოფელ ერკეთის საჯარო სკოლა. ხარაზი რუსუდანი – ქობულეთის, სოფელ დაგვას საჯარო სკოლა. ხაჩიძე ანასტასია – ბორჯომის №6 საჯარო სკოლა. ხაჯიკაძე ნათია – ხარაგაულის, სოფელ ლეღვანის საჯარო სკოლა. ჯაშიაშვილი დიანა – თეთრიწყაროს, სოფელ შავსაყდრის საჯარო სკოლა.

...დიახ, იმ დღეს მთელი საქართველო იყო, პედაგოგიურ-საგანმანათლებლო შემოქმედებითი სპექტრით, შეკრებილი რუსთავის აკადემიური ქალაქის დიდ დარბაზში... და იყო სიტყვისა და რითმის ზეიმი, რომელშიც საქართველოს პოეზიის დედოფალი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი. საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანის“ პრეზიდენტი ნაირა მარშანია, რუსთავისა და ქვემო ქართლის მწერალთა გაერთიანების თავმჯდომარე მარინე ცხვედიაშვილი მონაწილეობდნენ. რომელთაც, ქართული პედაგოგიური ელიტის უმაღლესი ჯილდოები, იაკობ გოგებაშვილის ოქროს მედლები გადაეცათ, ასევე საქართველოს პედაგოგთა კავშირისაგან სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ შემოქმედი მასწავლებლები.

სტუდენტთა ოცდამეცხრე სამეცნიერო კონფერენცია

მაღალ დონეზე და ჩვეული ორგანიზებულობით წარიმართა სტუდენტთა ოცდამეცხრე სამეცნიერო კონფერენცია საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლებისა და საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრებში, რომელიც რუსთავის აკადემიური ქალაქის, ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის სხდომათა დარბაზში ჩატარდა და რომელიც ტრადიციულად ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ გახსნა... სწორედ, რექტორის სიტყვის შემდეგ აიღო სტარტი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციამ: – „გოლიათები და ჯუჯები“, – ასეთი იყო სამედიცინო სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტის რუგაია აგაევას სამეცნიერო თემა, რომელსაც პედაგოგი თინათინ ხაბურზანია ხელმძღვანელობდა. „ძველი ქირურგიის“ შესახებ, დამსწრე საზოგადოებას აიდა აბდულაევამ, ხოლო „მცენარე – ჩია, როგორც ინდიელებისა და აცტეკების ოქრო“-ზე თურჩან ზეინალოვამ ისაუბრა. საინტერესო საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება ინგლისურ და რუსულ ენებზე დამუშავებულ თემებში სტუდენტებმა: მარზა გულახმედზადემ, ზინაიდა ბადალოვამ, აითან ოჯახვერდიევამ, ზაბიდა გასანოვამ, რავან კასუმოვმა, ემილია იმანოვამ და ლამან გულიევამ (თემის სამეცნიერო ხელმძღვანელები: ეთერ ჭიპაშვილი, ნურანა ბაბაევა, მანანა ჩხაიძე). „ძველი მედიცინის“ შესახებ მოუთხრო თანატოლებს ესმირა ალიევამ, რომელმაც აღნიშნული თემა პედაგოგ ნინო ცუცქირიძის ხელმძღვანელობით დაამუშავა. საინტერესო იყო სტუდენტების: აიშან ბუდაგოვას – „ჰიპნოზის ისტორია“; სურაია კერიმოვას – „ფულის არსი და ფუნქციები“; სამირა ხალაფოვას – „ანტონ ვან ლევანჰუკის აღმოჩენა“; გიულნაზ ახმედოვას – „მარათონელი“; მინაია სადიკოვას – „იმუნიზაცია“; აიგუნ ისმაილოვას – „დაავადებათა დამარცხება“; სელინ ნასიბოვას – „რატომ მოკვდა ოქროს ბიჭი...“; ალინა მამედოვას – „სამედიცინო დენტოლოგია“; სევინჩ ნასიბოვას – „ძვლის ტვინი – სისხლის ფაბრიკა“; საიარა თოფჩიევას – „წამლის შექმნის მოკლე ისტორია“ და სხვათა მიერ მომზადებული სამეცნიერო-საგანმანათლებლო თემები. „საბანკო ზედამხედველობის“ შესახებ, პედაგოგ ზურაბ ქსოვრელის მიერ მომზადებული სამეცნიერო თემით, მსმენელთა წინაშე წარსდგა ბანკის ოპერატორის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი – აიშა ალიევა. იგივე სექციიდან, „აუდიტორული შემოქმედების ეტაპების“ შესახებ ესაუბრა აუდიტორიას მარიამ გობეჯიშვილი, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელი, პედაგოგი ეკა პაპუნაშვილი გახლდათ. ისახან იბრაგიმოვმა, პედაგოგ ზეინაბ ლამაზოშვილის ხელმძღვანელობით მომზადებულ თემაზე: – „ჩუქების ხელშეკრულება“, ხოლო მარიამ გოჩოლეიშვილმა პედაგოგ ნინო კაკიაშვილის ხელმძღვანელობით – „ენა – მარადიული ფასეულობა!“ – მოგვითხრო. „ყალბი ფულის წარმოშობა და გავრცელება“ – ასეთი გახლდათ სტუდენტ – რაქსანა ახმედოვას მიერ მომზადებული სამეცნიერო თემა, პედაგოგ თამარ იმერლიშვილის ხელმძღვანელობით. ხოლო, სონა თეიმუროვამ, „ოფერტი წერილი-ვალდებულება აუდიტის ჩატარებაზე“ – ისაუბრა. მარიამ ღვინჯილიამ კი „მტრის სიყვარულის ფენომენზე“ მოგვითხრო, ხოლო ნაირა კასუმოვამ „კონფლიქტური სიტუაციების მართვაზე“. გიუნელ ისმაილოვამ, „აუდიტორისა და შესამოწმებელი სუბიექტის უფლება – ვალდებულებები“ გაგვაცნო.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ქართულ-უკრაინული ბანაკის IRIS-ის საერთაშორისო სერთიფიკატები გადაეცათ პედაგოგებს: ქეთევან ცისკარიშვილს, მაკა სამხარაძესა და მანანა ჩხაიძეს.

კონფერენციის შედეგები შეაჯამა, დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და სასწავლო ცენტრების განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსებს სპეციალური სიგელები გადასცა ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, საყურადღებოა, რომ აღნიშნული კონფერენცია ერთდროულად მიმდინარეობდა ინსტიტუტის ეგიდით საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ცენტრებში აფილირებულ სასწავლო დაწესებულებებში და მეცნიერული წარმატებით დასრულდა!

***

წინ ოცდამეათე კონფერენციაა. რომელშიც, სტუდენტთა ოცდამეცხრე სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებულები მიიღებენ მონაწილეობას!

ქართული ენის დღე!

ქართული ენის დღეს, განსაკუთრებული სამზადისით შეხვდენენ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში, სადაც დილიდანვე განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობოდა. აქ, პირველად, ეთნიკურად აზერბაიჯანელი სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა ქართული კალიგრაფიის კონკურსი: – „კალიგრაფია, ლამაზად წერის ხელოვნებაა!“, რომელშიც ოცდაათზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა. მათ სიტყვით მიმართა და ქართული სახელმწიფოებრივი ენის შესახებ ესაუბრა, ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი: გარი ჩაფიძე. კონკურსის ორგანიზატორმა, სასწავლო ცენტრის მეტყველების, კულტურის საგნის პედაგოგმა: ნინო კაკიაშვილმა; განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ქეთევან ცისკარიშვილმა; პედაგოგების: ეკა პაპუნაშვილისა და მაკა სამხარაძის ჩართულობით გამოავლინეს გამარჯვებულნი. კონკურსის ყველა მონაწილე დაჯილდოებული იქნა „საპატიო სიგელებითა“ და წახალისებით.

საყურადღებოა რომ ქართული ენის, ანუ „დედაენის დღე“ ტრადიციულად, 14 აპრილს აღინიშნება. ძეგლი ამავე სახელწოდების პარკში, თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე „მშრალ ხიდთან“ დგას. წიგნს, ძეგლი პირველად საქართველოში დაუდგეს და უკვე 28 წელია დგას. მასზე გამოსახულია ცოდნის წყურვილით ზეცისკენ ხელაპყრობილი ყმაწვილი, რომელიც ეს-ესაა ზარს შემოჰკრავს.

ძეგლის ავტორები არიან მოქანდაკეები: ელგუჯა ამაშუკელი და ნოდარ მგალობლიშვილი.

წიგნის ჩუქების დღე

არაჩვეულებრივი ტრადიცია დამკვიდრდა საქართველოში. დიახ, ყოველთვის აპრილის მიწურულს ვზეიმობთ, ამ მართლაც და ორმაგად საზეიმო დღეს, ისინი, ვინც წიგნებს გავცემთ და ისინიც, ვინც წიგნებს ვიღებთ. ასეთი უნიკალური ხიბლი ახლავს „წიგნის ჩუქების დღეს...“ რომლის მიზანიც წიგნიერების პოპულარიზაციაა.

ძვირფასი და მარტივი ტრადიცია, დიდი მწერლების გარდაცვალებას, სერვანტესსა და შექსპირს ეძღვნება.

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის, ქუთაისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის სტუდენტები და პედაგოგები, ამ დღეს მოუთმენლად ველოდით, რათა ერთმანეთისათვის გაგვეზიარებინა წიგნის სიყვარული, ცოდნა და განცდა. ადრესატები შემთხვევითობის



პრინციპით ავირჩიეთ. წიგნის გადაცემის პროცესი განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რადგან კარგი წიგნის ჩუქებით, ჩვენ ახალ მეგობრს და ემოციასაც ვჩუქნით ერთურთს.

მაყვალა ძოგულაძე,
ქ.ქუთაისის სასწავლო ცენტრის
განათლების ხარისხის მართვის
სამსახურის უფროსი.

ის ჩვენი კურსდამთავრებულია!

გაიცანით ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ მოწინავე თანამშრომელი, ჩვენი კურსდამთავრებული სალმინაზ ვალიევა

ტოლერანტობის სამყარო

რუსთავის აკადემიურ ქალაქში, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ინიციატივით, მოეწყო სამსახურეობრივი შეხვედრა, კავშირის თავმჯდომარის, აკადემიკოს გარი ჩაფიძესა და ორგანიზაცია „ტოლერანტობის სამყარო“-ს აღმასრულებელ დირექტორთან მიხეილ ლაზგინიანთან, საუბარი ძირითადად ურთიერთთანამშრომლობისა და კოლეგიალობის პრინციპით წარიმართა, სადაც ორივე მხარე შეთანხმდა მომავლის პერსპექტიულ გეგმებზე და აღინიშნა, რომ საერთაშორისო დონორობით, განმარტების მიღებით, რუსთავის აკადემიური ქალაქის ბაზაზე გაიხსნება მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკი „მომავლის ლიდერი“, რომელიც იფუნქციონირებს ევროპის სამეცნიერო პედაგოგიური პარლამენტის ეგიდით და ძირითადი ყურადღება გამახვილდება მოზარდთა ტრენინგ-კურსებზე: – ლიდერობა, სტრატეგიული აზროვნება, მეთაურგანათლება, მოლაპარაკების პროცესის ტექნოლოგია, ციფრული ეკონომიკა, დიპლომატია და სხვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ლეილა გეგეშიძე და აღმასრულებელი მდივნები: მაკა სამხარაძე და მაია კონიაშვილი.

პროფესიული საქმიანობის განმტკიცების ეპიცენტრი



„ჩაის სახლი“, აკადემიური ქალაქის თანამშრომელთა უპირობო გაერთიანებისა და პროფესიული საქმიანობის განმტკიცების ეპიცენტრად იქცა, კოლეგებმა გულთბილად მიულოცეს იუბილარებს დღესასწაული და სიტყვით გამოსულებმა: ქ.ცისკარიშვილმა, გ.აბესაძემ, რ.გულისაბედაშვილმა, ნ.ფიფიამ, ნ.კაპანაძემ, მ.სამხარაძემ, ზ.ქსოვრელმა, ზ.ლამაზოშვილმა, ე.პაპუნაშვილმა, ე.ჭიპაშვილმა, ნ.ცუცქირიძემ, ნ.ბაბაევამ, თ.ხაბურზანიამ და სხვებმა აღნიშნეს ამ არაჩვეულებრივი ქალბატონების უდიდესი როლი ქართულ პედაგოგიკაში. შეხვედრა შეაჯამა, იუბილარებს მადლობის სერტიფიკატები და ფასიანი საჩუქრები გადასცა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მათთვის ავანსი კი არა, ჭეშმარიტად დამსახურების ამსახველი ჯილდოებია!

გაზაფხულის შემობრძანება და იუბილარები ერთად მილოცვის ადრესატები გახდნენ, რუსთავის აკადემიური ქალაქის „ჩაის სახლში“, ახლობლებისა და კოლეგებისაგან. დიახ, ჯერ საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ლეილა გეგეშიძემ, მოგვიანებით საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქ.რუსთავის სასწავლო ცენტრის რუსული ენის პედაგოგმა მანანა ჩხაიძემ და ბოლოს ამავე ცენტრის სამედიცინო სპეციალობის პედაგოგმა ნინო ცუცქირიძემ აღნიშნეს იუბილეები და იყო უამრავი ლექსი, სიმღერა, იუმორი, დისპუტი და დისკუსია...

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 27-99-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369